№ 260 მთავრობის ორგანო

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მან. კვირა 16 ნოემბერი 1919 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებისი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ცულუკიძის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

კვირას ნოემბრის 16-ს ალეშკოს, გლაზის, მარკოვის, ინაშვილის და ისეცკის მონაწილეობით **ა ი დ ა.**

ორშაბათს 17, ნოემბერს, **ჰოფმანის ზღაპრები.** სამშაბათს, ნოემბრის 18, მ. ს. დავიდოვას მესამე გასტროლი „კარმენი“, ოთხშაბათს 19, „აბესალომ და ეთერი“.

120

საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია.

## არტისტიული საზოგ. თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 19—1919 წ. საღამოს 8 საათზე

ედ. როსტანი **თეთრი ვახშამი**
ერთ მოქმედებად

ბრიო **სარწმუნოება.** პიესა 2 მოქმედებად.

პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.

ბრბოს ხელმძღვანელი შ. ბერიშვილი. მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება

## სახლის პატრონებს,

რომელთაც სურთ სასწრაფოთ გაყიდონ თავისი სახლები, შეუძლიათ მიმართონ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელსაც ჰყავს ნამდვილი მყიდველები. დავითის ქ., № 3, ბინა 2, ტელ. 2—28. 11—2 საათ. და 5—7 საათამდე.

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი

## „ხალხი ნება“

№ 2.

ფასი 2 თუმანი

რედაქტორ გამომცემელი ს. ახლანიშვილი

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ა. წ. 22 ნოემბერს, დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი: ბორჯომიდან ტფილისი. რიგ. № 647- სატვ. ბარ № 99520-5 ც. წონით 21 ფ. 15 გ. ბორჯომიდან ტფილისი რიგ. № 605, სატვ. ბარ. № 57457 1 ც- 3 ფ. 25 გ. გორიდან-ტფილისი, რიგ. № 619-სატ. ბარ. № 80433. 1 ც.- 2 ფ. 13 გ. სამხრეთიდან ტფილისი რიგ. №621-სატვ. ბარ. № 13499 1 ც. 1 ფ. 10 გ. ბაქოდან-ტფილისი, რიგ. № 618-ს. ბარ. № 59745933 1 ც. 1 ფ. 20 გ. ბორჯომიდან-ტფილისი, რიგ. № № 604, 606, 607, 608, 609, სატვ. ბარ. №№ 53458, 53459, 53462, 53461 და 53460 1 ც. 4 ფ. 1 4 ფ. 31 გ. 1 ც. 5 ფ., 1 ც. 4 ფ. 17 გ. და 1 ც. 509.

## ოფიციალური განყოფილება.

## დ ე კ რ ე ტ ი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1919 წლის ივნისის 1 დან შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ამ კანონს დართული აქვს.

2. პირველ მუხლში მოხსენებულ შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს ხაზინიდან ამა 1919 წლის ივნისის 1 დან 1920 წ. ივნისის 1-მდე ხუთას სამოცდა ხუთმეტი ათას შვიდასი (575,700) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ არ იქნეს დამფუძნებელ კრების ამა წლის მაისის ოცს და აგვისტოს ორს დეკრეტების მოქმედება.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 4 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## შტატი და ხარჯთაღრიცხვა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილებისა 1919 წ. ივნისის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე.**

| თანამდებობა | რაოდენობა თანამდ. პირთა | განზრახული ჯამაგირი. | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | თვეში | | წელიწადში | |
| | | თითოს | ყველას | თითოს | ყველას |
| საექიმო სასანიტარო განყოფილების უფროსი | 1 | 4000 | 4000 | 48,000 | 48,000 |
| თანაშემწე | 2 | 3700 | 7400 | 44,400 | 88,800 |
| ექიმი ინსპექტორი | 4 | 3000 | 12000 | 36 000 | 144,000 |
| საქმის-მწარმოებელი ექიმი | 1 | 3500 | 3500 | 42,000 | 42,000 |
| საქმის-მწარმოებელი თანაშემწე ფერშალი | 1 | 2000 | 2000 | 24,000 | 24,000 |
| ლაბორატორიის გამგე | 1 | 2500 | 2500 | 30,000 | 30,000 |
| პირადად მიკუთვნებული | 1 | 500 | 500 | 6 000 | 6 000 |
| ბუხგალტერი | 1 | 1600 | 1600 | 19,000 | 19,200 |
| მანქანით გადამწერი | 2 | 1100 | 2200 | 13,200 | 26,400 |
| რეგისტრატორი | 1 | 1100 | 1100 | 13,200 | 13,200 |
| კანცელარიის მოხელე | 1 | 1100 | 1100 | 13,200 | 13,200 |
| მოსამსახურენი და შიკრიკები | 4 | 875 | 3500 | 10,500 | 42 000 |
| სამკურნალო და საკანცელარიო ხარჯი | | | | | 87,300 |
| ს უ ლ | | | 41,400 | | 584,100 |

განათება, გათბობა და ბინა სახაზინოა

1919 წ. ნოემბრის 4 ს

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## შტატი და ხარჯთაღრიცხვა

**სამაზრო და საქალაქო სასამართლოს საექიმო პერსონალისა 1919 წ. ივნისის 1-დან 1920 წ. ივნისის 1 მდე.**

| თანამდებობა | რაოდენობა | ჯამაგირი. | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | თვეში | | წელიწადში | |
| | | თითოს | ყველას | თითოს | ყველას |
| სამაზრო სასამართლოს ექიმი | 17 | 2025 | 34425 | 24300 | 413100 |
| საქალაქო სასამართლოს ექიმი | 6 | 2025 | 12150 | 24300 | 145800 |
| სამაზრო სასამართლოს ფერშალი | 83 | 1350 | 44550 | 16200 | 534600 |
| სამაზრო სასამართლოს ექიმების სამგზავრო ხარჯი | | 1350 | 22950 | 16200 | 275400 |
| იმათთვისვე საკანცელარიო ხარჯი | | 40 | 680 | 480 | 8160 |
| საქალაქო სასამართლოს ექიმების საკანცელარიო ხარჯი | | 40 | 240 | 480 | 2880 |
| ს უ ლ | | | 114995 | | 1.379,940 |

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**8 ნოემბრის სხდომა.**

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომრის მაგიერ ევ. გეგეჭკორი, მინისტრები: ბ-ნი რამიშვილი, ხომერიკი, კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორი—ბ ნი გოგიჩაიშვილი, მინისტრთა ამხანაგები: ბ-ნი ავალიანი, ერაძე, გედევანიშვილი, ნ. ქარციეძე, ცინცაძე, დეპარტამენტების დირექტორნი ბ ნნი ჟორდანია, ბ. ჰაჭინაძე, საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე; მდივანი—დ. ლომთაძე.

**ბათუმ ნატანების რკინის გზის საექსპლოატაციო კრედიტი.**

მიღებულ იქმნას გზათა მინისტრის მოხსენება ბათუმ ნატანების რკინის გზის 1919/20 წლ. საექსპლოატაციო კრედიტის და სახაზინო რკინის გზის ამავე წლის საერთო საექსპლოატაციო ხარჯთ აღრიცხვის ზოგიერთი ნორმებით დამატებითი კრედიტების გახსნის შესახებ. სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**დანიშვნანი.**

დაინიშნენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი მიხ. არქიპოს ძე ტატიშვილი ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლათ;

ქუთაისის მეორე უბნის გამომძიებელი თანამდებობის ასრულებელი ლავრენტი ტიმოთეს ძე ქვანია—ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ;

რაჭის უბნის გამომძიებლის თანამდებობის ასრულებელი ალექსანდრე მალაქიას ძე ჯავარიძე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ, ტფილისის საგანგებო სასამართლოს მდივანი ვლადისლავ ალექსანდრეს ძე ნეპოკოიჩიცკი—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ.

დონის ოლქის მე-5 უბნის გამომძიებლის თანამდებობის ასრულებელი ვასილ გრიგოლის ძე ქელბაქიანი—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ.

ტფილისის მე 3 უბნის გამომძიებლის თანამდებობის ასრულებელი ალექსანდრე მიხ. არსენიშვილი დაინიშნოს ტფილისის ოლქის ბრალმდებლის ამხანაგათ;

ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი სვიმონი ივანეს ძე ჯორბენაძე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლათ;

სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრი ევგენი ივანეს ძე არეპიევი განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან თანახმათ მისი თხოვნისა.

**დახმარება ვ. ბარნოვს.**

გადაიდოს განათლების სამინისტროს განკარგულებაში ვ. ბარნოვისთვის მისი 30 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავათ 10 მილიონიან ფონდიდან 10,000 მან.

**საზღვარ გარეთ თამბაქოს რეალიზაციისთვის.**

სატრანსპორტო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულების მე 2 პუნქტის თანახმათ უცხოეთში თამბაქოს რეალიზაციისთვის მთავრობის რწმუნებულათ დაინიშნოს გრ. ალ. ხოფერია.

# იუსტიციის სამინისტროში

**იუსტ. სამინისტ.**

**საგარეჯოში მომრიგებელ მოსამართლის კამერის გახსნისათვის**

1. საგარეჯოში მომრიგებელ მოსამართლის კამერა დღემდე არ გახსნილა, რადგან ერობამ ბინა ვერ აღმოუჩინა არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეს არც კამერისათვის, არც საცხოვრებლად. ამის გამო საგარეჯოს უბნის მომრიგებელი მოსამართლე ჯერ ტფილისში სცხოვრობს და აქ არჩევს საგარეჯოს რაიონის საქმეებს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა და დეპეშით აცნობა საგარეჯოს თემის ერობას, რომ თუ იგი არ ზრუნავს სამომრიგებლო კამერისთვის საჭირო ბინის აღმოსაჩენად და უახლოეს დღეებში არ აღმოუჩენს შესაფერ ბინას მომრიგებელ მოსამართლის იმ შემთხვევაში აღძრული იქნება საკითხი საგარეჯოს უბნის მომრიგებელ მოსამართლეს თანამდებობის გაუქმებისა, რადგან ტფილისიდან საგარეჯოს სამომრიგებლო უბნის მართვა ერთ ერთ აქ მცხოვრებთ მომრიგებელ მოსამართლესაც შეუძლიან და საჭირო არ არის ზედმეტ ფაქტიურ კამერის შენახვა. ესეთივე ქაღალდი გაეგზავნა ტფილისის სამაზრო ერობასაც. საქმის დაჩქარებლად სამინისტრო კვირას, ნოემბრის 16-ს წარმომადგენელსა ჰგზავნის საგარეჯოში საერობო სამმართველოსთან პირადად მოსალაპარაკებლად. წარმომადგენლად იგზავნება სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობის ასრულებელი დ. ი. წითლანაძე.

**კლუბების წესდებების დამტკიცების გამო.**

რადგან სამინისტროს ცნობით ტფილისის ოლქის სასამართლოს მიერ რეესტრში შეტანილია ზოგიერთი კლუბები, რომელთაც უფლება აქვთ კანონით ნებადაურთველ ქაღალდის თამაშობის მოწყობა, სამინისტრომ სასწრაფოდ მოსთხოვა ხსენებულს სასამართლოს ყველა ნებადართულ კლუბების სიის წარმოდგენა იმის ჩვენებით თუ სახელდობრ რა და

რა ქალაქის თამაშის ნება აქვთ მათ მიცემული. უკეთუ წარმოდგენილ სიიდან გამოირკვა, რომ რომელსამე კლუბს ნებადაურთველ ქალაქის თამაშის მოწყობის ნებართვა აქვს მიცემული, სამინისტროს მიერ წინადადება მიეცემა პროკურორის ნაწილს სათანადო ნებართვათა განსაჩივრების შესახებ.

# დამფუძნებელი კრება

## 14 ნოემბრის სხდომა

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა: ტყიბულის მაზრის ახალქალაქის და თიანეთის სამაზრო ერობების საჭიროებისათვის 1919 წ. აგვისტოს და სექტემბრის ჯამაგირის მისაცემად 1,200,000 მან. გადადების შესახებ. ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოს და თიანეთის მაზრებში საექიმო საქმისთვის 1919 წლ 6 თვეში გასაწევ ხარჯათ 961,770 მ ნ. და 30 კაპ. გადადების შესახებ და კანონისა — რკინის გზის მილიციის დამატებით შტატისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად 680,500 მან. გადადების შესახებ.

### ევგენი გეგეჭკორის განცხადება

მთავრობის თავმჯდომარის დავალებით მაქვს პატივი ვაუწყო დამფუძნებელ კრებას, რომ მთავრობამ დაადგინა შემდეგი: გამოიყოს და დაარსდეს ცალკე მომარაგების სამინისტრო და მას შეუერთდეს შრომის სამინისტრო, ამ უწყების მეთაურად თავმჯდომარემ დანიშნა შრომის მინისტრის ამხან. ბ. გიორგი ერაძე.

### პროექტი რატიფიკაციისა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა სადავო საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

ა. ჯუღელი. საგარეო კომისიის სახელით მოახსენებს კრებას პროექტს რატიფიკაციისა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის დადებულ ხელშეკრულებისა ამ რესპუბლიკათა სადავო საკითხების შეთანხმების, ან სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვეტის შესახებ და ამბობს: ის ხელშეკრულება, რომელიც თქვენ უნდა განიხილოთ და დაამტკიცოთ, არის მეორე ნაბიჯი გადადგმული იმ მხრით, რომლითაც მუდამ მიდიოდა და შემდეგშიაც ივლის ჩვენი დემოკრატია.

ეს არის გზა ერთა სოლიდარობისა. ჩვენ ღრმათა გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ ამიერ კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა ერთადერთი საშუალებაა ამ ერთა ცხოვრების და თავისუფლების განმტკიცებისა. ამ ერთა ინტერესები ისეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ერთი მათგანის დაცემა, მეორის დაღუპვას მოასწავებს და ასე. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია თავისუფალი საქართველო, თუ არ იქნა თავისუფალი სომხეთი და აზერბეიჯანი და პირიქით, ვერ წარმოგვიდგენია თავისუფალი სომხეთი, თუ არ იქნა საქართველო და აზერბეიჯანი და ა. შ. ამიტომ ჩვენი მთავრობა მუდამ ცდილობდა მათთან გამოეძებნა საერთო ენა, მუდამ გამოდიოდა ამ მიმართულებით, ინიციატორათ და აი ჩვენი მთავრობის ცდამ და მეცადინეობამ მიზანს მიაღწია. 16 ივნისს, ჩვენსა და აზერბეიჯანს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება საერთო თავდაცვის წარმოების შესახებ. ამ ხელშეკრულებას აკლდა სომხეთი, რასაც გულის ტკივილით აღნიშნავდნენ ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი ამ გარემოებას. ჩვენ გვწამდა რომ სომხეთის დემოკრატიის ხელმძღვანელნიც შეიგნებდნენ იმ უდაო ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ შორის აუცილებლათ საჭირო იყო შეთანხმება და კიდევაც გამართლდა იმედი, და აი ჩვენ უკვე გვაქვს სომხეთთან ხელშეკრულება, რომლის ძალით სადაო საკითხები ჩვენსა და სომხეთს შორის უნდა გადაწყდეს ურთიერთ შეთანხმებით, ან სავალდებულო არბიტრაჟით. ამიერიდან დავიწყებულ უნდა იქნას ის სამწუხარო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენსა და სომხეთს შორის და ყოველგვარი სადაო საკითხები მშვიდობიანი გზით უნდა იქნას მოგვარებული. კომისიის სახელით გთხოვთ ეს ხელშეკრულება დაადასტუროთ.

სპ. კედია (ნაც. დემ.) კონკრეტიულათ თუ განვიხილავთ ამ ხელშეკრულებას, დავინახავთ, რომ მას ჩვენთვის არავითარი რეალური სარგებლობა არ მოაქვს. ეს ხელშეკრულება ეხება ამ ჩვენს ტერიტორიას, რომელიც სადაოთ გამოცხადებულია ამ უკანასკნელ ხანებში. ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტი, რომლის დაფასებას ერი ვერას დროს ვერ მოანდობს ვერც ერთ სასამართლოს. ასეთი მომენტები არის კერძო ადამიანის ცხოვრებაში, ასეთი მომენტები არის პარტიის ცხოვრებაშიაც. თქვენ, სოც.-დემოკრატები ვერავითარ სასამართლოს ვერ მიანდობთ რევოლიუციის მონაპოვარის საკითხს, რომ ვინმე მასზე გვედაონ, პირიქით, თქვენ ამ მონაპოვარისათვის იბრძოლებთ და სისხლს დაღვრით და თუ ეს ითქმის კერძო ადამიანზე, პარტიაზე, მით უმეტეს ეს ითქმის მთელი ერის შესახებ. ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი მიუღებელია. ჩვენ გვედავებიან ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც უდაოა საქართველოს მთავრობის, დამ. კრების და ხალხის შემეცნებაში. ასეთი უდაო ადგილები უცბათ სადაო ხდება. ჩვენ არ შეგვიძლია ამაზე აღშფოთება არ გამოვსთქვათ ამ მხრით მიუღებელი არის ხელშეკრულება დამფუძნებელი კრებისათვის. გარდა ამისა ხელშეკრულებაში არ არის ნათქვამი, რომელი ადგილებია სადაო, ჩვენ არ ვიცით სადამდე გაიწევს ეს სადაო ტერიტორიის ფარგლები. ამიტომ დამფუძნებელმა კრებამ არ უნდა მიიღოს ეს ხელშეკრულება, მისგან მან თავი უნდა შეიკავოს.

სიტყვა მიეცა ბ-ნ ევ. გეგეჭკორს. მის სიტყვას აქ ცალკე ვბეჭდავთ. ბ-ნ გეგეჭკორის შემდეგ ილაპარაკეს: ს. ფირცხალავამ, ლ. შენგელაიამ, რ. არსენიძემ, ვ. თევზაძემ და გ. გვაზავამ. მომხსენებლის სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი რატიფიკაციისა. ნაც. დემოკრატებმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს. მიღებულ იქნა აგრეთვე პროექტი რატიფიკაციისა საქართველოს და სომხეთს შორის სატრანსპორტო ხელშეკრულების დამტკიცებისა. დაწვრილებით შემდეგ.

(დასასრული იქნება)

# საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ევ. გეგეჭკორის სიტყვა

## წარმოთქმული დამფუძნებელ კრების ნოემბრის 14-ის სხდომაზე

ბატონებო! ის ჯგუფი, რომლის წარმომადგენლათ თქვენ ახლა მოგევლინათ ბ. კედია, საზოგადოთ ერთ რამეს იჩემებდა, ის თავის თავს უწოდებდა, მეტი რომ არა ვთქვათ ერთად ერთ სახელმწიფოებრივ ჯგუფს, ერთი სიტყვა, რომელიც მუდამ მათ აკერიათ პირზე, ეს გახლავთ დარაჯი ქვეყნისა და სამშობლოსი. და მე უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ვერც ერთი დარაჯი თავისი სამშობლოსი ვერ წარმოსთქვამდა ასეთ სიტყვას დღევანდელ მომენტში, როგორიც წარმოსთქვა პატ. სპ. კედიამ (ურატაძე: „მართალია“). ის თქვენს წინაშე ლაპარაკობს ისეთ რამეზე, რომელსაც არსებითად არავითარი კავშირი არა აქვს იმ ხელშეკრულებასთან, რომელიც თქვენს წინაშე არის წარმოდგენილი. მე შევცდი, როდესაც ვსთქვი, რომ არავითარი კავშირი არა აქვს მეთქი, საერთოდ ვერც ერთ მოვლენას ვერ ნახავთ, რომელსაც რაიმე კავშირი არ ჰქონდეს მეორე მოვლენასთან. (შენგელაია: ფიზიკაშიც ასე არის) დიახ, ფიზიკაშიც ასე გახლავთ.

უნდა აღვნიშნო თქვენს წინაშე, რომ ის საკითხი, რომელიც მან აქ წამოაყენა, შეიძლება შემდეგად მოჰყვეს ამ ხელშეკრულებას, იქნეს საგნათ თქვენი განხილვისა ემდეგ, მაგრამ ის ხელშეკრულება, რომელიც წარმოგიდგინათ სრულებით არ ლაპარაკობს იმაზე რაზედაც აქ ლაპარაკობდა სპ. კედია. მან განაცხადა, რომ თითქოს ეს ხელშეკრულება სადაოთ აცხადებს განსაზღვრულ ტერიტორიას ჩვენი რესპუბლიკისას ჩვენ და სომხეთის შორის. მე ვლაპარაკობ, რომ ეს სრულებით ესე არ გახლავთ, პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხის ისე დასმა, როგორც ის და ბ-ნ კედიამ დღევანდელ ენებას მოუტანს ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამ ხელშეკრულებით არავითარი ჩვენი ტერიტორია სადაოთ არ არის გამოცხადებული (კედია: ტერიტორიას ეხება ის, რაც მომხსენებელმა სთქვა.) სრულებითაც არა, ის ეხება ყოველგვარ სადაო საკითხს (კედია: ვიცით რაც არის, პირდაპირ უნდა სთქვათ) თუ იცით უნდა სთქვათ ის, რაც იცით და არ ილაპარაკოთ იმაზე, რაც სურვილათ მოგივათ.

ის პრინციპი, რომელიც ხელშეკრულებაში არის წამოყენებული კედიას მიაჩნია ყოველ დროს და ყოველ რიცხვში დამარცხება. მან დღეის წარმოსთქვა ერთი სიტყვა, რომელიც ძირიან ფესვიანათ უარყოფს და ასამარებს ამ პრინციპს. სად არის აქ ლოღიკა, სად არის პრინციპიალობა, ჩვენ კი ვლაპარაკობთ შემდეგს: მართალია არის ისეთი საკითხები, რომელიც არ ხდება და ვერც გახდება საგნათ არბიტრაჟისა, მაგრამ ამისთვის არსებობს არა ისეთი სიტყვა, რომელიც აქ იხმარა კედიამ, არამედ კეთილმეზობლური განწყობილება და ურთიერთობა ორ მეზობელთა და ორ სახელმწიფოთა შორის (კედია: „არა ჩვენს ხარჯზე ყოველთვის“) მაშინ, როდესაც ერთი მხარე მოინდომებს პირადათ ისარგებლოს იმ პრინციპით, რომელიც დღეს უკვე მთავრობის მიერ არის აღიარებული, როგორც დემოკრატიული პრინციპი, ასეთს საქციელს დაგმობს მთელი მოწინავე ევროპა და ამასთანავე წინააღმდეგობა შეხვდებოდა ჩვენშიაც, მაგრამ სანამ ასეთ ფაქტთან საქმე არ გვაქვს, სანამ ცხოვრებამ ეს კითხვა არ დაგვიყენა, რისთვის დარაჯმა რესპუბლიკისამ უნდა აღიაროს ქვეყნის წინაშე, რომ ეს საკითხი სადაო საკითხათ არის გამოცხადებული. მაშინ, როდესაც ამის საფუძველი არა გაქვთ, ნურავინ ნუ ისარგებლებს იმით, რომ მე აძლებელია ჩვენ დღევანდელ დროს, დღევანდელ მომენტში ვერ წარმოვადგინოთ მთელი ის არგუმენტაცია, რომელსაც წარმოვადგენთ შემდეგ, როცა ამის დრო დადგება (კედია: ჩვენ ცოტა რამ ვიცით იქიდან) იმიტომ რომ ასეთი მდგომარეობით სარგებლობა მე არ ვფიქრობ ღირსეული იყოს ბ. კედიას და მის ჯგუფის ჯენტლმენობაზე (კედია: ეს სადაო არის ბატონო).

ბოლოს და ბოლოს ორი გზაა სადაო საკითხის გადასაჭრელათ, მესამე გზა არ არსებობს. სადაო საკითხები ან მორიგებით, ურთიერთ შეთანხმებით უნდა გადაიჭრას, ან იარაღით ხელში, ბრძოლით. ჩვენ კი მუდამ მთელი ჩვენი პოლიტიკით, ჩვენს მოქმედებაში თავგამოდებით ვიცავდით პრინციპს სადაო საკითხების მორიგებით გადაწყვეტისა. (კედია: რეალურათ რა მიიღეთ?) მე არ ვიცი რომელ ზომებზე ლაპარაკობს ბ. კედია, ყოველ შემთხვევაში უნდა ვაღიარო, რომ ის მთავრობა, რომელიც დღეს-დღეობით პასუხისმგებელია ქვეყნის და დამფუძნებელი კრების წინაშე, ამ მთავრობას აქვს უფლება პოლიტიკური და მორალური, რომ მან დღეის-დღეობით რეალურათ დაიცვა ჩვენი ქვეყნის და სამშობლოს ინტერესები (ტაში) რაც შეეხება თქვენს განცხადებას, მხოლოდ ლამაზი სიტყვები გვესმის (ჯუღელი: არც ლამაზია). რას მოგვიტანს ეს ხელშეკრულება, რას მისცემს ეს ჩვენს ხალხს? მე მგონია, რომ ერთ რამეს: პირველი, რომ მართლაც მთელი დემოკრატიულ ევროპის თვალში ჩვენი ხალხი და რესპუბლიკა იქნება აღიარებული, როგორც მოწინავე რესპუბლიკა, რომელიც მატარებელია კულტურული და პროგრესიული პრინციპებისა და ამის ფაქტი ჩვენ უკვე გვაქვს, არც სულ და არც გულ ბ. კედიისას ინგლისის წარმომადგენლის და ამერიკის განცხადება არაფერს არ ელაპარაკება: მაგრამ მე მგონია, რომ ხალხი და დემოკრატია ასეთ სიტყვას შესაფერ შინაარსს აძლევს და როგორც შესაფერ ღირებულებას ღებულობს. ბ. კედიას განცხადება, რომ დამფუძნებელ კრებას არა აქვს უფლება ძისცეს მთავრობას „კარტ ბლანში“, რომ მთავრობამ მოაწყოს საქმე ისე, როგორც სასურველია, არ ვიცი, რომელ მუხლიდან გამოიტანა ბ. კედიამ ასეთი უფლება? მაშინ, როდესაც კონკრეტიულ ნაბიჯს გადავდგამთ ამ ხელშეკრულების მიხედვით, მაშინ გექნებათ უფლება სთქვათ, გადავდგით თუ არა ჩვენ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხის ინტერესებს, აი მაშინ შეგეძლებათ წარმოსთქვათ ის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვით. ერთი რამ საგულისხმო არის, თუ მართლაც ეს პრინციპი არ იყო მისაღები სპ. კედიასათვის, მაშინ სად იყავით, როცა ხელს აწერდით ასეთივე ხელშეკრულებას აზერბეიჯანთან? მიპასუხეთ განა ასეთივე ხელშეკრულებას სხვა სახელმწიფოსთან არ მოაწერეთ ხელი? (კედია იქ ასე არ იყო). სრულიად სიტყვა-სიტყვით განმეორებულია პირველ მუხლში ის, რასაც თქვენ დღეს იხილავთ მოქალაქენო, სად იყო მაშინ ბ. კედია და მისი არგუმენტაცია. თუ ეს ასე არ არის, მე მოვითხოვ გამოვიდეს ბ. კედია აქ და დაამტკიცოს წინააღმდეგ, მე კი ვამტკიცებ, რომ ასეთივე ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი (ლ. ნათაძე: თათრებთან შეიძლება, სომხებთან არა). დახასიათებას ამ ფაქტს მე არ ვაძლევ, მაგრამ ეს ფაქტი დიდათ მნიშვნელოვანი არის. თავისთავად ეს ფაქტი იძლევა იმ საშუალებას, რომ ხალხმა აუხილოს თვალს და ერთხელ კიდევ დაინახავს თუ რა პოზიციაზე სდგას ბ. კედია და მისი პარტია და რა პოზიციაზე — მთავრობა და დამფუძ. კრების უმრავლესობა. ჩვენი შეხედულობით ერთა სოლიდარობა არის ერთად ერთი გზა, რომელიც ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკას მისცემს საშუალებას მთელი თავისი ძალა მოახმაროს ხალხის კეთილდღეობას და ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას. ერთა სოლიდარობა გახლავთ სწორედ ის საშუალება, რომელიც აიყვანს ჩვენს რესპუბლიკას და ამიერ-კავკასიაში დაამყარებს იმ წესს, რომელიც აუცილებელი პირობაა ჩვენი არსებობისათვის და განვითარებისათვის. მე ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო ის, რაც აქ არა ერთხელ მითქვამს. პირადათ მე ვერ წარმომიდგენია ამიერ-კავკასიის ისეთნაირად მოწყობა, სადაც ერთ ხალხს ექნება ბედნიერება, თავისუფლება, დანარჩენები კი დაბეჩავებული და დამონავებული იქნებიან, მე ასეთი მდგომარეობა ვერ წარმომიდგენია. ჩემის ღრმა რწმენით, მაშინ, როდესაც ერთა შორის დამყარდება სოლიდარობა, ურთი-ერთ ინტერესების შემეცნება და ხელიხელ ჩაკიდებული სიარული პროგრესის გზით, ეს მისცემს საშუალებას ჩვენ ხალხს იაროს კულტურისა და პროგრესისაკენ, რაც ჩვენი მიზანია და ამ მიზანს ემსახურება ეს ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება გვაძლევს გარანტიას, რომ არ განმეორდება ის უბედურება, რომელსაც ჩვენი ხალხის და სომეხ ხალხს შორის ჰქონდა ადგილი. ეს დიდი რეალური ღირებულება გახლავთ და როგორც ჩვენს დამფ. კრებაზე არის დამოკიდებული, ისე სომხეთის ხალხისგან არის დამოკიდებული, რომ ეს მშვენიერი მკვეთრი იარაღი მოვიხმაროთ ისე, როგორც ხალხის ინტერესი თხოულობს. მე მგონია, რომ ამ კარდამავალ მოვლენამ არ დაჩრდილოს ეს სასიხარულო მომენტი და ის პრინციპი, რომელიც საფუძვლათ დაედვა ამ ხელშეკრულებას: ერთაშორის სოლიდრობა და მეგობრული კავშირი სომეხ-აზერბეიჯანის შორის ამიერ-კავკასიაში. (ტაში).

# მუშაკავშირის მისიებში.

## იტალიის კომერციული ექსკურსია საქართველოში.

იტალიელ კომერსანტთა ერთი ჯგუფის თაოსნობით კავკასიაში და კერძოთ საქართველოში იგზავნება საგანგებო კომისია, რომელსაც ენდობა ეხლანდელი კომერციული კავშირის პირობების გამორკვევა. ამის შემდეგ თუ კომისიამ ეს საჭიროთ დაინახა, დაარსდება კავკასია-იტალიის სამუშაველო კამპანია.

# გვარდიის დღე.

12 დეკემბრისთვის განზრახულ გვარდიის დღის მოწყობის ხასიათის და გეგმის შესამუშავებლათ კვირას, 16 ნოემბერს სასახლის ოთახში № 13-14 შესდგება საერთო კრება იმ პირთა, ვინც სასარგებლო და საჭირო იქნება ამ მიზნისთვის.

# სანიტარულ გადასახადის შარშემი.

დამფუძნებელ კრების 1919 წ. ოქტომბრის 7-ს დეკრეტით აკრძალულია მომხმარებლებზე ქალაქის სანიტარულ და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების გადატანა.

ის პირნი (სავაჭრო სამრეწველო წარმოებათა პატრონნი)) რომლებიც ფასს გაადიდებენ აღნიშნულ გადასახადების მომხმარებლებზე განაწილების მიზნით, დაისჯებიან მთავრობის 28 ოქტომბრის დადგენილების § 2 თანახმათ ადმინისტრატიული წესით ჯარიმა 3000 მ. ან დაპატიმრება 6 თვემდე, და თუ განმეორდა დადგენილების დარღვევა, სავაჭროები 3 თვით დაიკეტება.

ამის გამო ტფ. ქალ. გამგეობამ დაარსა დროებითი შტატი სავაჭრო-სასურსათო ზედამხედველობისა, რომელსაც დავალებული აქვს თვალყური ადევნოს დამფუძნებელ კრების დეკრეტის შესრულებას.

სასურსათო განყოფილება თხოვს ყველა მოქალაქეს აცნობოს აგენტს თითეული შემთხვევა სპეკულიაციის მიზნით ფასის გადიდებისა. აგენტების მორიგეობა იქნება ქვემოთ აღნიშნულ პუნქტებში, სადაც მოქალაქენი მიმართავენ საჩივრით დილის 9—10 საათ. და ცენტ. კანტორაში კი (შტაბისა და სასახლ. ქ. კუთხე, ყოფ. სასტ. „ერმიტაჟი“, ტელ. 9—24) 9—3 საათ. და 4—7 საათ.

### სამორიგეო პუნქტები:

1. ვერის დალმართი გადასახ. ბიუროს კანტორა.
2. გრაფის № 14, გადასახ. ბიურო.
3. ელისაბედის ქ., № 10.
4. ჩერქეზიშვილის ქ. № 87.
5. კახეთის ქ. ნუნუპაროვის ბაზ. გად. ბიურო.
6. შტაბისა და სასახლ. ქ. კუთხე. სასტ. „ერმიტაჟი“.

# მუნიციპალური ცხოვრება.

**სავალდებულო დადგენილება რვა (8) საათის სამუშაო დღის შესახებ.**

(გორის ქალაქის საბჭოს დადგენილება 25 მკათათვიდან 1919 წ.)

§ 1. ისეთ დარგში, სადაც დამზადებული საქონელი იყიდება, როგორც, მაგალითად გალანტერეია, ფეხსაცმელი, ფართლეულობა, თქრიული და სხვა, მუშაობა სწარმოებს ზამთარ-ზაფხულ დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის და შუადღის შემდეგ 4 საათიდან 6 საათამდის.

§ 2 საყასბოებში და თევზეულობით სავაჭროებში (სადაც ხმელი ან ნედლი თევზი იყიდება) ზაფხულობით დილის 6 ს. შუადღის 12 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდის, ხოლო ზამთრობით: საყასბოებში— დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 6 საათამდის და თევზეულობით სავაჭრო დუქნებში დილის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 7 საათამდ ს.

§ 3. სადაც მარტო ხაში ან ჩაი იყიდება, მუშაობა სწარმოებს: ზაფხულობით დილის ექვს საათიდან შუადღის 12 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდის, ზამთრობით დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 2 საათიდან 5 საათამდის.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოება „მანდილოსანი“ ს სახაიზე.

§ 4. სამიკიტნოები ზამთარ-ზაფხულ ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის, მხოლოდ მოსამსახურეთ უნდა ეძლიოთ ყოველ დღე ოთხი საათის დასვენება შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდის.

§ 5. პურის საცხობ ფურნეებში და სახაბაზოებში მუშაობა სწარმოებს ორი რიგად (двѣ смѣны): ზაფხულობით დილის 4 საათიდან შუადღის 12 საათამდის და 12 საათიდან საღამოს 8 საათამდის, ხოლო ზამთრობით დილის 5 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და 1 საათიდან საღამოს 9 საათამდის.

შენიშვნა: თვითეულ რიგში (смѣна) მომუშავეთ ეძლევათ ერთი საათის დასვენება.

§ 6. წვრილი ხელოსნები: ხარაზები, მექალამნები, ტანისამოსის მკერავები (კაცისაც და ქალისაც), მეჟანგირეები, მეთასმეები, მეკუბოეები, მღებრები, მექვაბეები, მკალავები, მეჩარჩეები და მეწვრილმანეები მუშაობენ: ზაფხულობით დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდის.

ღამე მუშაობა სასტიკად აკრძალულია.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოება „მანდილოსანი“-ს ქრაქერვის სასწავლებელზე.

§ 7. ეტლის გამკეთებლები (каретники), თვლების გამკეთებლები (колесники), სადურგლოები, წისქვილის ქარხანა, ორთქლის სამჭედლოები, ხილის და ჩირის მოსავლის საშრობი ქარხნები მუშაობენ ზამთარ ზაფხულ: დილის 6 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 5 საათამდის.

§ 8. მხერხავები, დღიური მუშები და ოსტატები (დურგლები, კალატოზები და სხვა), რომელნიც გამოდიან მოედანზე დღიურ სამუშაოსთვის, მუშაობენ: ზაფხულობით დილის 6 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 6 საათამდის, ზამთრობით დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის და ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 5 საათამდის.

§ 9. ყველა სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებში, სადაც მუშაობენ დაქირავებული ნოქარ—მუშები, კვირა და უქმე დღის წინ მუშაობა სწარმოებს 6 საათი.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება პარიკმახერებზე.

§ 10. კვირა დღით დუქნების პატრონებს (хозяева) უფლება ეძლევათ ივაჭრონ დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

ნოქრები და ქარგლები კვირა დღით თავისუფლდებიან მუშაობიდან.

შენიშვნა: ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება საწვრილმანო მოვაჭრეებზედაც.

§ 11. კლუბები და პირველ ხარისხის რესტორნები ღიაა ზამთარ ზაფხულ დილის 10 საათიდან ღამის 2 საათამდის მოსამსახურეთა ორი მორიგეობით.

შენიშვნა: თვითეულ რიგის რვა საათის სამუშაოში შედის ერთი საათის დასვენება.

§ 12. მეაგურე—მეკრამიტეები მუშაობენ: ზაფხულობით დილის 5 საათიდან 10 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე და ზამთრობით დილის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

§ 13. დალაქები და პარიკმახერები მუშაობენ: ზაფხულობით დილის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 8 საათამდე; ზამთრობით დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 7 საათამდე შაბათობით (ზამთარ—ზაფხულ)— დილის 10 საათიდან შუადღის 12 სათამდე და ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

შენიშვნა: აღდგომისა და ახალწლის წინა დღით მუშაობა სწარმოებს ორ რიგად (смѣна) დილის 9 საათიდან ღამის 1 საათამდე. თვითეულ 8 საათის მორიგეობაში შედის ერთი საათი დასვენება სადილისათვის.

კვირა დღით სადალაქოების და საპარიკმახეროების პატრონები (хозяева) მუშაობენ დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ქარგლები ამ დღეს თავისუფალნი არიან.

§ 14. 8 წლიდან 11 წლამდის ორივე სქესის ბავშვებისთვის აკრძალულია მუშაობა ისეთ წარმოებაში სადაც შრომა მათი ჯანმრთელობისთვის მავნებელია, როგორც, მაგალითად, სადაბაღოებში, სამჭედლოებში, სამხერხაოებში, სახარაზოებში, წუმწუმის ქარხნებში მაგარ სასმელის დასამზადებელ ქარხნებში, საავკროებში და სხვა.

§ 15. ზაფხულის და ზამთრის სამუშაო დრო ისაზღვრება: 1 მარტიდან 1 გიორგობისთვემდე და 1 გიორგობისთვიდან 1 მარტამდე.

§ 16. ამ სავალდებულო დადგენილების სისწორით ცხოვრებაში გატარება ევალება გორის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობას.

§ 17. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი, თანახმად მთავრობის მიერ 1918 წლ. ნოემბერში გამოცემული კანონის 29 მუხლისა, მიეცემა სასამართლოში და დაისჯება ციხეში ჩასმით ერთი კვირიდან ექვს თვემდის.

§ 18. თანახმად რვა საათის სამუშაო დღის დეკრეტის 15 და 16 მუხლისა, მცირე წლოვანთათვის სამუშაო დღე განისაზღვრება 6 საათით.

§ 19. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

# უცხოეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

**იტალიური პრესა.**

იტალიის და ავსტრიის სამხედრო პირები მხარს უჭერენ მუოხუკსა და ტრიპოლის შუა მიმოსვლის პროექტს, რომელსაც მიზნათ კომერციული დამოკიდებულების განვითარება აქვს.

ციურიხში იტალიის კოლონიის ინიციატივით წინად შვეიცარიაში მცხოვრებ და ომში დაღუპულ მეომართა ბავშვებისათვის თავშესაფარი დაარსეს.

იტალიის და საბერძნეთის ფინანსიური წრეების თანხმობით ფიქრობენ ვალონსა და კალამბაკს შორის გაიყვანონ რკინის გზა, რათა რომსა და ათინას შორის გზა შემოკლდეს.

მეფის დეკრეტის თანახმად, არსდება კასსა კომერციულ ფლოტის ინვალიდების დასახმარებლად.

იტალიის გამარჯვების წლის თავის აღსანიშნავათ ქალ. ბუქარესტმა მთავარ ქუჩას იტალიის მეფის "ვიქტორ ემანუელის" სახელი უწოდა.

**ფრანგული პრესა.**

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა გერმანიაში გასაგზავნი ნოტის პროექტი, რომელიც ზემო-სილეზიაზე მუნიციპალურ არჩევნებს აუქმებს.

ბულგარეთმა პარიზში საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად გაგზავნა ტეოდოროვი და სტამბულინსკი.

პუანკარე თავის მეუღლით გლაზგოშია, მათ იქ დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ. გლაგოვს უნივერსიტეტმა პრეზიდენტს უბოძა წოდება დ-რ „ონორის კაუზა“.

პოლონეთის ჯარმა დასავლეთ დვინაზე და პოლოცკის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ბოლშევიკები დაამარცხა. მტერს ზარალი მიაყენეს.

ჰელ ინფორსიდან იუწყებიან, რომ იუდენიჩმა ფსკოვის მიმართულებით მტრის იერიშები მოიგერია. იუდენიჩმა დაიწყო შეტევა გატჩინოზე, დაიჭირა რამდენიმე სოფელი. წამოიყვანა ტყვეები.

ჩეხო-სლოვაკთა საგარეო საქმეთა მინისტრი დ-რ ბენესი ხუთშაბათს პარიზში მოვიდა, რომ ბულგარეთთან ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს.

გატჩინოს მიმართულებით იუდენიჩმა ისევ დაიწყო შეტევა.

დენიკინის ჯარმა მიაღწია—(დამახინჯებულია) ხაზს და პეტლიურას მთავარი შტაბი ტყვეთ წამოიყვანეს. პეტლიურა გაიქცა და არ იციან სად იმყოფება. უკრაინის ჯარი სრულიად დამარცხებულია. დანარჩენი ნაწილი დენიკინის მხარეზე გადავიდა.

ამერიკული ცნობა (ლიონის რადიო სადგურიდან) ევროპაში არის დიდი ქალაქი, სადაც ადამიანთა ტანჯვა მოთმინების საზღვარს გადასცილდა, ეს არის მხოლოდ ამაყი სატახტო ქალაქი ვენა. სპეციალური კორესპონდენტების ცნობით და ვენის გაზეთები გვიხატავენ ქალაქის ისეთს ცხოვრებას, რომ ძნელი და საჯერებელია. ახლად დაბადებულები გოსპიტლებში იხოცებიან მხოლოდ იმიტომ, რომ სიცივეში არიან. თუ ეს მართალია, სააავადმყოფოში, მაშინ რა უნდა ხდებოდეს კერძო ბინებზე. პარიზის პრესის სპეციალური კორესპონდენტები იუწყებიან: „ვენა ნელნელა ლაფავს სულს.“ ზაფხულის შემდეგ უცებ სიცივეები დაიწყო. ყველა იმ სახელმწიფოებისაგან მიტოვებული ყვენ, რომლებიც მისი ქვეშევრდომნი ან მოკავშირეები იყვნენ, ეხლა არავინ ყავს რომ საშველად მიმართოს.

**გერმანული პრესა.**

მას შემდეგ რაც მემარცხენეებმა ჯარში აგიტაცია გასწიეს ზემო ელზასის საპრეწველო ქალაქებში ფრანგული გარნიზონი რამოდენიმეჯერ გამოცვალეს. როგორც ამ ოლქიდან და ელზას (ლორენის) სხვა ქალაქებიდან მიღებული წერილებიდან მტკიცდება არჩევნების მსვლელობაზე პირად ინტერესებს დიდი გავლენა აქვს. მცხოვრებლებს გერმანიასთან შეერთება ისე ნაკლებად უნდა, როგორც საფრანგეთთან, ისინი მხოლოდ მოითხოვენ ნემეცური ენას, ჩვეულების და კულტურის ხელშეუხლებლობას. ფიქრობენ, რომ ელზას ლორენი საფრანგეთის ირლანდიათ გახდება ზოგი წინასარმეტყველობს, რომ მომავალ არჩევნებში ამ მხარეში ბევრი თავის ხმას ბოლშევიკებს მისცემს.

ფრანგების მიერ მომზადებულმა პეტიციამ რეინის რესპუბლიკის დაარსების შესახებ ვისბადენში წინააღმდეგობა განაცხადა, უკანასკნელმა დიდი უმრავლესობით პროტესტი განაცხადა, რეინის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რახან მას სურს დაეყრდნოს გერმანიის კონსტიტუციის დადგენილებებს.

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობა პრეზიდენტ პუანკარეს ლონდონში გამგზავრების შესახებ მოწმობს სხვა ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ გერმანიის წინააღმდეგ საომარ პოლიტიკას წარმოებსა. ერთი გაზეთთაგანი სწერს: „ედუარდ მეშვიდემ გადასწყვიტა შეაჩეროს გერმანიის ტერიტორიის გაფართოება. ამ კითხვაში მან მიიმხრო საფრანგეთის ელჩი ლონდონში პოლ. კამბონი, რასაკვირველია, გერმანია ამას წინააღმდეგობას გაუწევს, რაც აუცილებლად კონფლიქტს გამოიწვევს“.

ნაციონალურ კრების საგამომძიებლო კომისიამ განაგრძო მსჯელობა იმ მიზეზზე, რის გამოც არ იქნა შეჩერებული წყალქვეშა ნავებით ბრძოლა, მაშინ როდესაც ვილსონმა წინადადება მისცა ზავის ჩამოგდებაზე. ბეტმან გადვეგმა თავის ჩვენებაში განაცხადა: „ციმერმანი და გელფერიხი სულ იმას იმეორებდნენ, რომ უკანასკნელ დროს, ბენიდორფისაგან 1917 წელს 27 იანვარს ტელეგრამის მიღების შემდეგ შეუძლებელი იყო ტექნიკურ მიზეზების გამო წყალქვეშა ნავების ბრძოლის შეჩერება. პროფესორ ბონნის შეკითხვაზე გაფმა ბერნსდორფმა განაცხადა:“ ვილსონი განაგრძობდა ხელი შეეწყო ზავის ჩამოგდებისთვის, მიუხედავათ ყველა ინციდენტისა, რომ გერმანიას მოესურვებია ვილსონის წინადადებით დაინტერესებულიყო. ზღვაში ომის შეჩერება შეუძლებელი იყო მანამდის სანამ ამას არ შეატყობინებდნენ ყველა წყლის ქვეშა ნავებს. „შემდეგ შეეკითხენ ყოფილ ფინანსთა მინისტრ გელფერისს, რომელმაც სხვათა შორის, აჩვენა, რომ ის ვილსონის გამოსვლას ყოველთვის სკეპტიკურათ უყურებდა, რადგან ის ერთნაირათ არ უყურებდა მებრძოლ მხარეებს. ვილსონი დღენებით არასოდეს არ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ბლოკადას, რომლითაც უკანასკნელი ცხადათ არღვევდა საერთაშორისო უფლებას; ვილსონი აგრეთვე გულგრილად უყურებდა ინგლისის მიერ სხვა საერთაშორისო კანონების დარღვევას. თავისი აზრის დასამტკიცებლად გელფერიხმა აღნიშნა, რომ, პირველათ, 1915 წელში მას სურდა ამერიკაში გერმანიისთვის ბამბა ეყიდა, ინგლისმა მაშინვე ბამბა აკრძალულ საქონლად გამოაცხადა, ამერიკამ ამას არ გაუწია წინააღმდეგობა. მეორეთ, ვილსონმა მექსიკას აუკრძალა ამერიკიდან იარაღის გატანა, რადგან ეს მისი აზრით ნიშნავდა ერთ მებრძოლ მხარისთვის კეთილის ყოფას, ანტანტას კი ნება მისცა იარაღისა და ამუნიციის შეძენისა, რითაც დიდი ხნით გააგრძელა ომი. ვილსონის პოლიტიკა ამერიკის მატერიალურ ინტერესებით ნაკარნახევი, გერმანიის სისხლიდან ოქროს სჭედდა. გელფერიხის ჩვენება საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა.

# სხვა და სხვა.

◆ ქალაქის გამგეობის წევრმა კ. ა. ფნიევმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა ხორცით მოვაჭრეებს: მე მაცნობეს, რომ ხორცით მოვაჭრეებიდან ყოველ დღე თხოულობენ ხორცს ქალაქ. გამგეობის წევრებისთვის და საპასუხისმგებლო პირთათვის; ისინი სარგებლობენ ჩვენი მდგომარეობით და შეიძლება ზოგჯერ ნისიათაც მიაქვთ ხორცი, იმ მიზნით, რომ სულ არ გადაიხადონ. ამით ვაფრთხილებ კავშარს და ვთხოვ მას განუცხადოს კავშირის ყველა წევრებს, რომ ეს პირნი სარგებლობენ გამგეობისა და მათი მოსამსახურების სახელით, რისთვისაც გთხოვთ დააკავოთ ისინი და გადასცეთ მილიციელებს.

◆ სამიწათ მზომელო სასწავლებლის დირექტორი ხოროლსკი დათხოვნილ იქნა, თანახმად თხოვნისა, მის მაგიერ დირექტორათ დაინიშნა იმავე სასწავლებლის ინსპექტორი ვ. ივანიცკი.

◆ ტფილისში შესდგა „ქართველ მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის წესდება უკვე წარედგინა საოლქო სასამართლოს.

◆ 12 ნოემბერს დილის 12 ს. რამდენიმე ბოროტ-გამზრახველი თავს დაესხა რტიშჩევის ქუჩ. მცხოვრებ. ელენე მარიდეკოვისას და ძუქარით 14,555 მანეთის ძვირფასი ნივთები წაართვეს და მიიმალნენ.

◆ 13 ნოემბერს დილის 4 საათზე ხუდადოვის და ჩერქეზოვის ქუჩის კუთხეში მე 11 კომისარიატის მილიციელმა საეკოვმა თოფის ტყვიით უცაბედათ დასჭრა ნაძალადევში მცხოვრები ნ. შავლაძე და შ. ლეჟავა, რომელნიც საავათმყოფოში წაიყვანეს.

◆ 13 ნოემბერს ტფილისის ვაჟთა 1 გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ფრანგული უმაღლესი საუნივერსიტეტო კურსები. გახსნას დაესწრენ მაიორ გრაფი დენონ ანკური, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი დანელია, საფრანგეთის მისიის, წევრი გიუკი, ადერბეიჯანის წარმომადგენელი, პოლონეთის ასტროვსკი, გენ. ოდიშელიძე, დამფუძნებელ კრების წევრი გვაზავა, პაპის დელეგატი დელფიუში და ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი. სიტყვები წარმოსთქვეს მაიორმა ნონკურმა, კურსების გამგე კუხანმა ქიდიელიამ. ფრანგულათ და ჩხიკვიშვილმა, ქართულათ.

◆ სენატორ ა. ვ. დემიდოვის მოხსენება. გიორგობისთვის 18 ს, საღამოს 6 საათზე, სასამართლოს შენობაში, სენატორი ა. ვ. დემიდოვი წაიკითხავს მოხსენებას პასუხის გებაში მიმცემ კამერის შესახებ. მოხსენების შემდეგ კამათი. დასასრულ წევრთა არჩევა და საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

◆ ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა „სპორტი კლუბი“, ნებადაურთველ ქაღალდის თამაშის წარმოებისათვის.

◆ ერივნის და განჯის გუბერნიებიდან ბოლო ხანს მრავლად მოდიან სომეხი ლტოლვილები ბათომში სამუშაოს საშოვნელად. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლობამ გამოაცხადა, რომ ბათომში არავითარი სამუშაო არ მოიპოვება.

◆ სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებამ 2 მილიონი მ ნ. გადადო ოპოლ ბავშთა თავშესაფრისთვის ხორბლის შესაძენათ. თავშესაფარის კომისიას დაევალა შეიმუშაოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა სკოლებისა და სახელოსნოების გასახსნელათ თავშესაფართან.

# ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგად. გამგეობა

საზ. წესდ. 73 § თანახმად ამით აცხადებს რომ 1919 წლის 23 დეკემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში, საკუთარ სახლში, პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემო ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, ტფილ. სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით გაიყიდება. ეს ვაჭრობა, თუ უშედეგო

იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1919 წ. დეკემბრის 30, იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ვაჭრობა ვერ დასრულდა დეკემბრის 23 და 30, 1919 წ., ვაჭრობა მოხდება შემდეგ დღეებში.

2870. სოლომონოვი ავაქი და შამირი, სამი ნაჭერი ზომით 132½ ოთხკ. საჟ. და ხუროთმოძღვ. გაზომით 190 კვ. საჟ, ორი სამ სართ. სახლით; მეხუთე უბ., ხლებნოი და გეორგიევსკის მოედნის კუთხეში და ფეთხაინის ქუჩა. კაპ. ვალი 34,443 მან. 24 კ. გადასახ. 11,144 მან. 34 კ.

3052. ბაბლუმოვი იოსებ, მიწის ნაჭერი ზომით 73 კვ. საჟ., ანდა რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მეორე უბ. ბანკის (ოეტ-რის) და ყრუ შესახვ. კაპ. ვალი 13,325 მან. 28 კ. გადასახადი ვალი 3872 მან. 34 კაპ.

3594. სოლომონოვი ავაქი, მიწის ნაჭერი, ზომით 181 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება ერთ სართულიან სახლით და ქვის სარდაფით, მეორე უბ. პანასევიჩის ქ. კაპ. ვალი 4738 70 კ. დარჩ. გადასახადი 1424 მ. 88 კ.

4145. პაპაშვილი დავით, მიწის ნაჭერი, ზომით 100 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით მე 6 უბ. მირზოევის და სეიდაბადის ქ. კაპ. ვალი 4146 მან. 03 კ. დარჩ. გადასახადი 901 მან. 99 კ.

5167. ვარძიგულოვისა ალექსანდრა, მიწის ნაჭერი ზომით 72 კვ. საჟ, ან რამდენიც აღმოჩნდება ორ სართ. სახლით, ერთი ორ სართულ. და ერთი ერთ სართ. ფლიგელებით მე 7 უბ. პოკროვის ქ. № 18, კაპ. ვალი 5281 მან. 61 კ. დარჩ. გადას. 1200 მან. 23 კაპ.

5446. ზლატოგორსკი აბრამ და ქელიძე გიორგი, მიწის ნაჭერი, ზომით 1088 კვ. საჟ. 8 არშ. და 120 ვერ. კვ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით, მე 6 უბ. ვორონცოვის ქ. კაპ. ვალი 26,870 მან. 31 კაპ. დარჩა გადასახადი 2948 მან. 95 კ.

6623 ნესმაშნი ივანე, მიწის ნაჭერი, ზომით 300 კვ. საჟ. ხუროთმოძღვ. აღწერით—241 კვ. საჟ. შენობებით მეხუთე უბ., ვორონცოვის ქ. კაპ. ვალი 8763 მან. 47 კაპ. დარჩ გადასახადი 757 მან. 82 კ.

6625. ტერ ნერსესოვები ანასტასია (ტასია) და ზუზანიკა. მიწის ნაჭერი, ზომით 45 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით მე 8 უბ., არსენალის გზატკეცილზე, კაპიტ. ვალი 2142 მან. 18 კ. დარჩა გადას. 65 მ. 20 კ.

6646. ეწფიაჯიანცი ტიგრან, მიწის სამი ნაჭერი, პირველი ზომით 1 დეს. 240 კვ. ს., მეორე 600 კვ. ს., მესამე 975 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით 1 უბ. ვერაზე კაპ. ვალი 97,761 მან. 82 კაპ. დარჩ. გადასახადი 3811 მან. 29 კ.

6689. მარდანიძე ნადეჟდა, გიორგი, ოლღა და ბორის, მიწა ზომით 90 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით 1 უბ. ვარდისუბნის ქ. კაპ. ვალი 3938 მან. 22 კ. დარჩა გადასახადი 50 მან. 02 კ.

7103. მელიქ ფანიაევა ეკატერინე, მიწის ნაჭერი, ზომით 270 კვ. ს., ან რამდენიც აღმოჩნდება, მეორე უბ. პროექტირ. ქ. კაპ. ვალი 2959 მ. 63 კ. დარჩ. გად. 223 მ. 99 კ.

7123. ფიფილოვები აგრაფენა, ეკატერინე, ვასილ, ნიკოლოზ, პეტრე და ალექსანდრე, გრუშეკო მარიამი, პროხანოვა ანასტასია, მიწის ნაჭერი, ზომით 231 საჟ 2 არ. კვ. ან რამდენიც აღმოჩნდება, მეათე უბ. ელისაბედისა და კიროჩნი ქ. კუთხეში, კაპ. ვალი 98 724 მან. 84 კაპ. დარჩ. გადას. 5772 მან. 94 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო აღნიშნულ ვალის გადასახადის ხვედრი ფულის, დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერის სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმად ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება აქვს შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებითა ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით განთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქაღალდი, საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდ მამულს მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და აზბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დღის ათ საათიდან შუადღის ორ საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა. 77 3—2

# ნუსხა
## პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა.

| სერ. №№ | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 110 | 479—100 | 334—100 | 298—100 | 196—100 | 151—100 | 158—100 |
| 111 | 500—100 | 79—100 | 233—100 | 180—100 | 274—100 | 398—100 |
| 112 | 45—100 | 150—100 | 215—100 | 3—100 | 162—100 | 281—100 |
| 113 | 169—100 | 137—100 | 251—100 | 158—100 | 38—100 | 244—100 |
| 114 | 2—100 | 234—100 | 93—100 | 374—100 | 482—100 | 269—100 |
| 115 | 68—100 | 138—100 | 114—250 | 198—100 | 266—100 | 59—250 |
| 116 | 391—100 | 159—100 | 149—100 | 444—100 | 483—100 | 123—100 |
| 117 | 820—100 | 412—100 | 159—250 | 177—100 | 5—100 | 451—100 |
| 118 | 287—100 | 388—100 | 22—100 | 346—100 | 356—100 | 122—100 |
| 119 | 224—100 | 92—100 | 28—250 | 340—100 | 69—100 | 255—100 |
| 120 | 187—100 | 459—100 | 350—100 | 96—100 | 424—250 | 205—100 |
| 121 | 306—100 | 272—100 | 373—100 | 203—100 | 29—100 | 54—100 |
| 122 | 299—5.000 | 417—100 | 96—100 | 257—100 | 90—100 | 287—100 |
| 123 | 314—100 | 191—100 | 58—100 | 32—100 | 104—100 | 423—100 |
| 124 | 116—100 | 481—100 | 270—100 | 141—250 | 209—1.000 | 297—100 |
| 125 | 83—100 | 346—100 | 101—100 | 243—100 | 439—100 | 407—100 |
| 126 | 115—100 | 66—100 | 385—100 | 300—100 | 193—100 | 346—100 |
| 127 | 448—100 | 77—100 | 459—100 | 287—100 | 296—250 | 367—100 |
| 128 | 300—100 | 492—100 | 423—100 | 471—100 | 138—100 | 83—100 |
| 129 | 286—100 | 72—100 | 98—100 | 213—100 | 427—100 | 211—100 |
| 130 | 438—100 | 195—100 | 408—100 | 194—100 | 489—100 | 98—100 |
| 131 | 66—100 | 350—500 | 252—100 | 411—100 | 289—100 | |
| 132 | 424—100 | 133—100 | 43—100 | 492—100 | 237—100 | |
| 133 | 401—500 | 216—100 | 318—100 | 494—100 | 412—100 | 275—100 |
| 134 | 477—100 | 12—100 | 80—100 | 486—100 | 26—100 | 221—100 |
| 135 | 389—100 | 87—500 | 281—100 | 259—10 000 | 382—100 | 288—100 |
| 136 | 439—100 | 418—100 | 47—100 | 499—100 | 307—100 | 365—100 |
| 137 | 62—250 | 44—100 | 404—10 | 330—100 | 457—250 | 147—250 |
| 138 | 88—100 | 365—00 | 458—100 | 5—100 | 419—100 | 471—100 |
| 139 | 60—100 | 226—10 | 249—100 | 496—100 | 448—100 | 224—250 |
| 140 | 16—100 | 210—10 | 495—100 | 53—100 | 499—100 | 479—100 |
| 141 | 428—100 | 431—100 | 84—100 | 442—100 | 242—100 | 378—100 |
| 142 | 346—100 | 186—10 | 106—500 | 498—100 | 9—10 | 234—100 |
| 143 | 414—100 | 253—100 | 325—100 | 426—100 | 431—100 | 173—100 |
| 144 | 379—100 | 274—100 | 480—250 | 343—100 | 186—100 | 422—100 |
| 145 | 163—100 | 225—100 | 247—100 | 400—100 | 113—100 | 251—100 |
| 146 | 312—100 | 348—100 | 11—100 | 399—100 | 8—100 | 411—100 |
| 147 | 399—100 | 121—100 | 102—100 | 268—100 | 271—100 | 296—100 |
| 148 | 480—25.000 | 177—250 | 179—100 | 284—100 | 490—100 | 62—100 |
| 149 | 818—100 | 423—100 | 416—250 | 115—100 | 237—100 | 140—100 |
| 150 | 404—100 | 445—500 | 396—100 | 356—100 | 444—100 | 22—250 |
| 151 | 347—100 | 3—100 | 475—100 | 54—100 | 447—100 | 119—100 |
| 152 | 22—100 | 108—100 | 53—100 | 58—100 | 76—100 | 82—100 |
| 153 | 204—100 | 468—100 | 362—100 | 166—250 | 128—100 | 497—100 |
| 154 | 293—100 | 450—100 | 39—100 | 248—100 | 79—100 | 164—100 |
| 155 | 40—100 | 444—100 | 271—100 | 392—100 | 313—100 | 4 0—100 |
| 156 | 419—100 | 174—100 | 274—100 | 252—100 | 47—100 | 85—100 |
| 157 | 1—100 | 107—100 | 221—100 | 329—100 | 298—100 | 190—100 |
| 158 | 79—100 | 94—100 | 42—100 | 390—100 | 387—100 | 144—100 |
| 159 | 56—250 | 262—100 | 200—100 | 170—100 | 241—250 | 372—250 |
| 160 | 131—100 | 245—100 | 56—100 | 281—100 | 131—100 | 160—100 |
| 161 | 229—100 | 293—250 | 14—100 | 371—100 | 260—100 | 347—100 |
| 162 | 34—100 | 201—100 | 15—100 | 183—100 | 106—100 | 247—100 |
| 163 | 313—250 | 95—100 | 208—100 | 124—100 | 94—100 | 3—100 |
| 164 | 207—100 | 172—100 | 492—100 | 30—100 | 437—100 | 245—100 |
| 165 | 301—250 | 70—250 | 79—100 | 67—100 | 391—100 | 298—100 |
| 166 | 241—100 | 240—100 | 279—100 | 38—100 | 268—100 | 141—100 |
| 167 | 54—100 | 41—100 | 81—100 | 434—100 | 324—100 | 480—100 |
| 168 | 213—100 | 482—100 | 455—100 | 223—100 | 303—100 | 464—100 |
| 169 | 11—100 | 435—100 | 4/—100 | 339—100 | 117—100 | 70—100 |
| 170 | 58—100 | 454—100 | 442—500 | 401—100 | 121—100 | |
| 171 | 412—100 | 4—100 | 120—100 | 142—100 | 153—100 | 61—100 |
| 172 | 450—250 | 428—100 | 194—250 | 417—100 | 266—250 | 495—100 |
| 173 | 351—100 | 357—100 | 415—100 | 176—250 | 19—250 | 6—100 |
| 174 | 19—100 | 43—100 | 144—100 | 223—100 | 271—100 | 253—100 |
| 175 | 17—100 | 300—100 | 315—100 | 178—100 | 348—100 | 276—100 |
| 176 | 23—100 | 481—100 | 227—100 | 336—100 | 173—100 | 430—100 |
| 177 | 476—100 | 180—100 | 97—100 | 451—100 | 85—100 | 156—100 |
| 178 | 103—100 | 440—100 | 312—100 | 111—100 | 280—100 | 256—100 |
| 179 | 195—100 | 208—100 | 139—100 | 474—100 | 37—100 | 86—100 |
| 180 | 281—100 | 260—100 | 177—100 | 54—100 | 273—250 | 399—100 |
| 181 | 226—100 | 439—100 | 301—100 | 288—100 | 406—100 | 362—250 |
| 182 | 48—100 | 211—100 | 66—500 | 35—100 | 390—100 | 118—100 |
| 183 | 265—100 | 328—100 | 150—100 | 413—100 | 184—100 | |
| 184 | 397—250 | 485—100 | 239—100 | 350—100 | 144—100 | 111—100 |
| 185 | 266—100 | 264—500 | 428—100 | 492—100 | 340—100 | 180—100 |
| 186 | 305—100 | 63—500 | 135—100 | 358—100 | 143—100 | 10—100 |
| 187 | 97—100 | 19—100 | 14—100 | 376—100 | 161—100 | 297—100 |
| 188 | 111—100 | 354—100 | 346—100 | 301—100 | 212—100 | 454—100 |
| 189 | 443—100 | 207—100 | 462—250 | 328—100 | 294—100 | 69—100 |
| 190 | 407—100 | 90—100 | 366—250 | 202—100 | 137—100 | 393—100 |
| 191 | 363—100 | 145—100 | 250—100 | 435—100 | 56—100 | 429—100 |
| 192 | 273—100 | 453—100 | 404—100 | 197—100 | 282—100 | 405—100 |
| 193 | 59—100 | 484—100 | 105—100 | 237—100 | 158—100 | 420—100 |
| 194 | 157—100 | 405—100 | 317—250 | 246—100 | 284—100 | 225—100 |
| 195 | 35—100 | 17—100 | 110—100 | 42—100 | 477—100 | 333—500 |
| 196 | 197—100 | 408—100 | 291—100 | 374—100 | 250—100 | |
| 197 | 453—100 | 269—100 | 64—100 | 387—100 | 146—100 | 48—100 |
| 198 | 189—100 | 69—100 | 297—100 | 193—100 | 480—250 | 380—100 |
| 199 | 280—100 | 392—100 | 278—100 | 302—100 | 204—100 | 254—100 |
| 200 | 249—100 | 136—100 | 111—100 | 49—100 | 47—100 | 177—100 |
| 201 | 65—100 | 359—100 | 387—100 | 347—100 | 317—100 | 355—100 |
| 202 | 180—100 | 426—100 | 319—250 | 57—100 | 443—100 | 65—100 |
| 203 | 403—100 | 152—100 | 34—100 | 497—100 | 138—100 | 233—100 |
| 204 | 109—100 | 252—100 | 311—100 | 191—100 | 81—250 | 257—100 |
| 205 | 315—100 | 15—100 | 36—100 | 140—100 | 93—100 | 259—100 |
| 206 | 377—100 | 310—100 | 220—100 | 304—250 | 378—100 | 43—100 |
| 207 | 130—100 | 92—100 | 330—100 | 44—100 | 185—100 | 252—100 |
| 208 | 310—100 | 474—100 | 32—100 | 110—100 | 315—100 | 280—250 |
| 209 | 257—100 | 371—100 | 209—100 | 59—100 | 225—100 | 1—100 |
| 210 | 425—100 | 18—100 | 57—100 | 409—100 | 12—100 | 308—500 |
| 211 | 370—100 | 76—100 | 21—100 | 337—100 | 31—100 | 352—100 |
| 212 | 220—100 | 336—250 | 386—100 | 486—100 | 477—100 | 342—100 |
| 213 | 445—100 | 381—100 | 284—100 | 355—100 | 164—100 | 196—100 |
| 214 | 410—100 | 278—100 | 137—100 | 410—100 | 140—100 | 103—100 |
| 215 | 447—100 | 378—100 | 303—100 | 165—100 | 227—100 | 53—100 |
| 216 | 258—250 | 2—100 | 461—100 | 222—100 | 160—250 | 27—100 |
| 217 | 459—100 | 390—100 | 16—100 | 305—100 | 220—100 | 500—100 |
| 218 | 375—100 | 378—100 | 241—100 | 344—250 | 217—100 | 427—100 |

გაგრძელება იქნება.

# განცხადებანი

კარაპეტ არუთინის ძე [illegible] აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 93, აღებული 1913 მარტის 4 კიხილ, კოჩის სოფლის საზოგადოებიდან (ალექსანდროპოლის მაზრა). პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.
116 3—1

დავით ერუობაშვილი, იგივე მხარძელოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1914 წ. ნოემბრის 27-ს, რეესტრი 3459. 93 3—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის მსმენელი ბარბარე მათეს ასული ვარდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული № 997 გაუქმებულად ჩაითვალოს. 133 1—1

ანდრო ივანეს ძე აბაშიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მეხუთე ვაჟთა გიმნაზიიდან, მისი იქ სამსახურის შესახებ, აღებული 24 ოქტომბერს 1919 წ. № 513 და ჩაითვალოს გაუქმებულად.
127 3—1

დაკარგულია მატრიკული № 748 აღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან დავით ბადრიძეს მიერ. რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.
131 3—1

გრიგოლ სიმონის ძე კუნჭულია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მატრიკული გაუქმებულად ითვლება.
130 3—1

ერვანდ სააკის ძე პეტროსიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.
107 3—1

ნიკოლოზ ცხვედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის კომისარიატიდან აღებული პასპორტი და პირველ ქართულ ლეგიონიდან აღებული სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების ბარათი. გაუქმებულად ჩაითვალოს.
106 3—2

იოსებ იაკობის ძე კარაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და სხვა დოკუმენტები, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს
102 3—3

არუთინ მნაცაკანის ძე არუთინიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.
104 3—3

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის გათავების შესახებ, მიღებული 1912 წელში პეტრე ივანეს ძე ჩხენკელის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.
3—3

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებლის გათავების შესახებ, მიღებული 1912 წელში ქსენია ისაკის ასულის ლეჟავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
3—3

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა, მიცემული ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიიდან 7 ივნისს 1913 წ. № 975 იაკობ ისიდორის ძე რამიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 123 3-2

უპატრონო ბარგი: აქტი სადგ. ტფილისი № 2370-რიგ. № 568- 1ც-5ფ. ტვირთი: ბორჟომიდან-ტფილისი, რიგ. № 652 სადგ. ბარ. № 99638 16 ც. ცარიელი ბოჩკები წონ 32 ფ. ბორჟომიდან ტფილისი, რიგ. № 648 სადგ. ბარ. № 99516 21ც. ცარიელი ტომრები-28ფ. 30 გ.
102 3—1

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის გათავების შესახებ, მიღებული 1913 წელში ვიქტორ ივანეს ძე ნოზაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3—3

დაკარგულია პასპორტი № 3867, აღებული აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის კანცელარიიდან ამა წლის სექტემბრის 30. ერვანდ პოლოსის ძე სტეფანიანცის მიერ, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს.
103 3—2

სტამბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე